




ავტორები: თორნიკე სურგულაძე, დავით კუშელავა

## საქართველოში ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება: საბარემო სექტორის გაძლიერება და დაკრედიტების ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. წარმოგიდგენთ ამ თვის მიგნებებს.

### ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2024 წლის ივლისის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა. აღნიშნული შეფასებით, მშპ 13%-ით გაიზარდა, მშპ-ის ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა კი 2024 წლის პირველ კვარტალში 8.4% შეადგინა, ხოლო მეორე კვარტალში – 9.5%. მშპ-ის ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 2024 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში 9.7 % შეადგინა.



- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, 2024 წლის მესამე კვარტალში მშპ-ის რეალური მაჩვენებელი 7.9%-ს გაუტოლდება, 2024-ის მეოთხე კვარტალში კი – 6.4%-ს.
- ივლისის მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წელს წლიური ზრდის პროგნოზი 8.1%-ს შეადგენს.

**მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმარტებითი ცვლადები:**

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების პირველი ჯგუფი, რომელიც ჩვენს პროგნოზზე ზომიერ გავლენას ახდენს, კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებია. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა ყველა კატეგორიის დეპოზიტმა წლიური ზრდა განიცადა. კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 15.8%-ით, ხოლო ვადიანი დეპოზიტები წლიური 35.6%-ით გაიზარდა. შედეგად, სულ ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები წლიურად 21.2%-ით გაიზარდა. **უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, 13.4%-იანი ზრდა განიცადა.** ამავე პერიოდში უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები წლიურად 7.5%-ით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 0.8%-ით გაიზარდა. ამავდროულად, უცხოური ვალუტის ვადიანი დეპოზიტები მნიშვნელოვნად, წლიური 32.5%-ით გაიზარდა. *თუმცა ჩვენი მოდელის თანახმად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა.*


**საქონლით ვაჭრობა.** ივლისში საქართველოს ექსპორტი წლიურად 29.9%-ით გაიზარდა. ეს ძირითადად ავტომობილების (38%-ით ზრდა), ფეროშენადნობის (3608%-ით ზრდა), არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორის და სხვა ალკოჰოლური სასმელების, (99%-ით ზრდა), ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების (167%-ით ზრდა) გაზრდილი ექსპორტითა და რეექსპორტით იყო განპირობებული. ამავდროულად, მნიშვნელოვნად შემცირდა ყურძნის ნატურალური ღვინოების (წლიური 26%-ით) ექსპორტი/რეექსპორტი.

**ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 7.2%-ით გაიზარდა,** რაც უმეტესად საწვავისა და ნავთობპროდუქტების (24%-ით), დაფასოებული მედიკამენტების (19%-ით) და მონაცემთა ავტომატური დამუშავების დანადგარების (350%-ით) გაზრდილმა იმპორტმა/რეიმპორტმა განაპირობა. აღნიშნულის საპირისპიროდ, შემცირდა ავტომობილების (15%-ით), ნავთობაირების და სხვა აიროვანი ნახშირწყალბადის (24%-ით) იმპორტი/რეიმპორტი. **შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტი წლიური 7%-ით შემცირდა და 735 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.** *მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ცვლადებს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა.*



ფულადი გზავნილები. მათში ფულადი გზავნილები წლიურად 1.8%-ით შემცირდა და 298 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული შემცირების მთავარი მიზეზი რუსეთის ფედერაციიდან (შემცირდა წლიური 39%, -9.4 პროცენტული პუნქტი) და ყაზახეთიდან (შემცირდა 36%, -1.4 პროცენტული პუნქტი) შემოდინებული ფულადი გზავნილების შემცირება იყო. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა გზავნილების რიცხვი ამერიკის შეერთებული შტატებიდან (წლიურ 25%-მდე, 3.3 პროცენტული პუნქტით), იტალიიდან (წლიურ 7%-მდე, 1 პროცენტული პუნქტით), გერმანიიდან (წლიურ 18%-მდე, 1.2 პროცენტული პუნქტით), საბერძნეთიდან (წლიურ 6%-მდე, 0.4 პროცენტული პუნქტით) და ისრაელიდან (წლიურ 22%-მდე, 1.3 პროცენტული პუნქტით). ფულის შემოდინების შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში შემოსული რუსი მოქალაქეების ნაკადი, რომლებიც პირადი მიზნებისთვის რიცხავდნენ თანხებს. აღნიშნული მოვლენის გარდამავალი ეფექტის შემცირებასთან ერთად, საქართველო უზრუნდება ფულადი გზავნილების შემოდინების ჩვეულ დონეს. *მიუხედავად ამისა, ჩვენი მოდელის თანახმად, ფულად გზავნილებს გავლენა არ ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**გრაფიკი 2: ფულის შემოდინების მაჩვენებელი, 2022-2024**




წყარო: სეზ



გაცვლითი კურსი. ივლისში ლარი აშშ დოლართან (3.2%-ით თვიურ ჭრილში), ევროსთან, (2%-ით თვიურ ჭრილში), რუბლსა (4.5%-ით თვიურ ჭრილში) და თურქულ ლირასთან (3.6%-ით თვიურ ჭრილში) მიმართებით გამყარდა. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიურად 1.9%-ით, ხოლო წლიურად 10.4%-ით შემცირდა. ერთი მხრივ, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებისა და სესხების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის გამო (ბიზნესებს შემოსავალი და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაში აქვთ), ლარის გაუფასურება უარყოფითად აისახება ქართველ მოსახლეობაზე, მეორე მხრივ, კონკურენტუნარიანობა ექსპორტში იზრდება. მთლიანობაში, REER-თან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**გრაფიკი 3: ნომინალური გაცვლითი კურსი (აშშ დოლარი/ლართან და ევრო/ლართან), 2022-2024**



წყარო: სებ

სამომხმარებლო სესხი. ივლისში, კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა წლიური 29%-ით გაიზარდა. მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად, 86.7%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის რაოდენობის ზრდით იყო განპირობებული, რომელიც წლიურ ჭრილში შესაბამისად, 30.8%-ით და 382.3%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში



გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა წლიურ ჭრილში 27.5%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდის მიუხედავად, სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**ინფლაცია.** ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 1.8%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. საერთაშორისო ბაზარზე საქონლის სტაბილურმა ფასებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირებაში. მოსალოდნელია, რომ ინფლაციის მაჩვენებელი ეტაპობრივად გაუტოლდება სამიზნე მაჩვენებელს. **საწვავის ფასები (ევრო ბრენტის ფასი (COP)) მსოფლიო ბაზარზე წლიური 6.3%-ით გაიზარდა.** მიუხედავად ამისა, მაღალია ინფლაციის ზრდის რისკი. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან (CPI) დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი **ახალი ეკონომიკის სკოლის** მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.